ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**ამირან ჯანჯღავა**
საანგარიშო პერიოდი:	30.10.2025 – 20.10.2026 წ.წ.
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს წევრი. 2. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება	1. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი.
საბჭოს დასახელება	1. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს მდივანი.

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 15 სხდომა

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 15 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა: - 13 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება: - 13 სხდომა

❖ **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

დადგენილება - 83

განკარგულება - 97

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა:**

ა) კომისიები:

➢ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია:

ჩატარდა: - 9 სხდომა; დასწრება: - 9 სხდომა

ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება“

ჩატარდა: - 3 სხდომა; დასწრება: - 3 სხდომა

გ) ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

ჩატარდა: - 2; დასწრება: - 2.

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საანგარიშო პერიოდში (30.10.2025 – 20.10.2026) ჩაატარა ბიუროს 13 და საკრებულოს 15 სხდომა, რომლებზეც მიღებულ იქნა 83 დადგენილება და 97 განკარგულება.

მხარდაჭერილი საკითხები:

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (მერიასთან) მჭიდრო თანამშრომლობით, ჩემი მხრიდან მხარდაჭერილ იქნა მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის პრიორიტეტული ყველა მნიშვნელოვანი საკითხის დადებითად გადაწყვეტა და დამტკიცება, მათ შორის წესების დადგენისა და ნორმატიული რეგულირების მიმართულებით:

საფინანსო-საბიუჯეტო მიმართულება:

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება;

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2025 წლის 25 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (ბიუჯეტში განხორციელდა 3 კორექტირება);

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №174 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 6 თვის ანგარიშის განხილვა.

სამანდატო, საპროცედურო და ადმინისტრაციული რეგულირება:

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს 2026 წლის კვარტალური გეგმის შემუშავება და დამტკიცება;

• რუსთავის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2025–2030 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება;

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცება, აგრეთვე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოლის წესში (2019 წლის №145 დადგენილება) დროული ცვლილებების შეტანა;

• მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირებისა და უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის სამართლებრივი წესის დამტკიცება;

• საქალაქო ტრანსპორტის რეფორმის ხელშეწყობა: რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრისა და შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტისათვის“ ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ დადგენილებაში ცვლილების შეტანა;

• მუნიციპალური სტრუქტურების დებულებების განახლება: ცვლილებები ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახურის დებულებაში, მერიის ადმინისტრაციის დებულებასა და საკრებულოს აპარატის ბეჭდებისა და შტამპების გამოყენების წესში. ასევე, მერიის საქმისწარმოების ახალი წესის დამტკიცება.

ჩამოთვლილი საკითხების გარდა, აქტიურად ვუჭერდი მხარს თითოეულ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მოსახლეობის პრობლემების დროულ მოგვარებასა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილება და საქმიანობა საანგარიშო პერიოდში წარიმართებოდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ქალაქ რუსთავის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ჩართულობა მუნიციპალურ სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალიზებული სათათბირო ორგანოების, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების მუშაობაში, სადაც წარმოდგენილი ვიყავი შემდეგი სტატუსით:

- **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის** პროგრამის კომისიის წევრი;
- **მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრი:**

აქტიურად ვიყავი ჩართული რუსთავის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის ფორმირების პროცესში. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, სხვადასხვა სექტორის ექსპერტებთან და აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ვმონაწილეობდი ქალაქის ეკონომიკური, ურბანული, ეკოლოგიური და სოციალური პოტენციალის ანალიზში, პრიორიტეტების დასახვასა და იმ სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, რომლებიც საფუძვლად დაედება რუსთავის მოდერნიზაციასა და მდგრად განვითარებას.

საქმიანობა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში:

როგორც საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გავუკეთე და ვუხელმძღვანელე კომისიის 9 სამუშაო სხდომას. კომისიის შემადგენლობაში შედის 6 წევრი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი როგორც უშუალოდ კომისიის, ისე საკრებულოს მუშაობაში, განსახილველი საკითხების ინიცირებაში, მომზადებასა და ანალიზში.

კომისიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა საკრებულოს ორგანიზაციული მუშაობის სამართლებრივი გამართულობა, რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი, ეთიკის ნორმების ზედამხედველობა და მუნიციპალური სტრუქტურების გამართული ფუნქციონირების სამართლებრივი უზრუნველყოფა.

ოფიციალური შეხვედრები, კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი აქტივობები

საანგარიშო პერიოდში, გეგმური სხდომებისა და ბიუროს მუშაობის პარალელურად, აქტიურად ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტში გამართულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პროექტში:

• **ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება:** რუსთავის №21 საჯარო სკოლაში, განათლების სამინისტროს ორგანიზებით გამართულ ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას დავესწარი, რაც მიზნად ისახავს მასწავლებელთა მრავალწლიანი პროფესიული შრომის აღიარებასა და წახალისებას.

• **სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის მხარდაჭერა:** საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული 3-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, რუსთავის საკრებულომ წელს პირველად მიიღო სტუდენტები. პირადად შევხვდი კონკურსის წესით შერჩეულ ახალგაზრდებს, გავაცანი წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობის სპეციფიკა და ხელი შევუწყვე მათ ეფექტიან ინტეგრაციას სამუშაო გარემოში.

• **თემატური შეხვედრები სამოქალაქო ჯგუფებთან:** ქალაქში ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, რეგულარულ შეხვედრებს ვმართავდი რუსთაველ ველომომხმარებლებთან, სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან და შემოქმედებით წრეებთან (მწერლებთან). შეხვედრების მიზანი იყო მათი საჭიროებების მოსმენა, სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივების დასახვა და მიღებული იდეების ასახვა სამომავლო გეგმებში.

საქმიანობა ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოში:

როგორც საბჭოს წევრი, აქტიურად ვიყავი ჩართული სოციალური, კულტურული და ჯანდაცვის მიმართულებით კამპანიებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და მართვაში:

• **ადგილობრივ ხატმწერთა გამოფენა:** საბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მოეწყო ადგილობრივ ხატმწერთა ნამუშევრების გამოფენა ეროვნულ-სულიერი ღირებულებების პოპულარიზაციის მიზნით.

• **„ვარდისფერი ოქტომბრის“ საერთაშორისო კამპანია:** ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო თვესთან დაკავშირებით, საბჭომ განახორციელა მასშტაბური ჯანდაცვითი აქტივობა, რომლის ფარგლებშიც რუსთავში მცხოვრებ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს ჩაუტარდათ სრულიად უფასო სკრინინგული და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო გამოკვლევები.

ფრაქციული საქმიანობა და მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში:

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, წესდების შესაბამისად, სისტემატურად ვესწრებოდი ფრაქციის სხდომებს, სადაც ვიხილავდით სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებსა და განსახორციელებელ სტრატეგიულ გეგმებს.

კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერთან, ვისმენთ და ვაფასებთ შესრულებული საქმიანობის ანგარიშებს. ამ ეტაპზე ჩემს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქ რუსთავის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის დეტალური განხილვა, რათა მასში მაქსიმალურად აისახოს მოსახლეობის ინტერესები და ქალაქის ადმინისტრაციულ-ინფრასტრუქტურული საჭიროებები.

დასასრულს, მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს ფრაქციიდან და კომისიიდან მაღალი პროფესიონალიზმისა და გუნდური მუშაობისთვის. ასევე, დიდ მადლობას ვუხდი ქალაქ რუსთავის მერიას კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. განსაკუთრებულ მადლიერებას კი გამოვხატავ რუსთავის მოსახლეობის მიმართ - მათი ჩართულობა და ნდობა გვაძლევს მოტივაციას, სამართლებრივად და ადმინისტრაციულად კიდევ უფრო ეფექტიანი გავხადოთ ჩვენი თვითმმართველობა.

თარიღი: 20.10.2026 წ.

ხელმოწერა: **ამირან ჯანჯღავა**

